წლიური კურსი... | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები საერთო—დღისა 14—76, სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 9 აპრილი, 1921 წ.

№ 31 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო № 31

თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამით აუწყებს ს. ს. ს. რ. ყველა სახალხო კომისრებს და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, რომ ცენტრალურ კომიტეტის და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტების მიერ სამსახურისათვის გაგზავნილნი პარტიის წევრნი და კანდიდატნი უნდა მიღებულ იქმნენ სამსახურში იმავე დღეს. წევრთა და კანდიდატთა მიღება დაწესებულების გამგეთა ან პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მიერ, უნდა სწარმოებდეს ყოველ რიგს გარეშე.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი: ლ. დუმბაძე.

საორგ.—საინსტ. განყოფილების გამგე დონენკო.

## დეკრეტი № 17

### საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა მიწის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ შემდეგ საფუძვლებზე:

1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა.

2. ის მიწები და სხვილი მამულები, რომლებიც ყოფილი მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა სხვილ მფლობელთ, შენობებით, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოთ და წინეთ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ.

**შენიშვნა**: ეს მუხლი არ ეხება წვრილ და საშუალო მფლობელთ; ამ კატეგორიის მფლობელები პირიქით მიიღებენ დასამუშავებლად მიწის საკმაო რაოდენობას თავის ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. სურსათიანი ადგილები (ვზოვები) პატარა ზომისა სოფლად და ქალაქად პატარა ბაღებით და ბოსტნებით დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში დარჩება, ხოლო მიწის ამ ნაკვეთების სიდიდე განსაზღვრული იქნება ცალკე დამატებითი კანონით, თანახმად ამა დეკრეტის მეექვსე მუხლისა.

4. ყველა, როგორც წინეთ, ისე ამ დეკრეტის ძალით ჩამორთმეული მიწები მთელი შენობებით ყოველგვარი მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით გადირიცხება მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადის ადგილობრივ (სათემო, სამაზრო ან საგუბერნიო) გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირდაპირ განკარგულებაში; სანამ კი ასეთები არ შემდგარან, ეს მიწები გადავა სათანადო რევოლიუციონურ კომიტეტების განკარგულებაში. ყველა ეს ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში სახელმძღვანელო დირექტივებს ღებულობენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.

5. ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მამულის რაიმე დაზიანება ან გაფუჭება, რომელიც ამიერიდან შეადგენს სახალხო კუთვნილებას, გამოცხადებულია სასტიკ დანაშაულად, რაც დასჯილი უნდა იქნეს რევოლიუციონური კანონით.

გლეხთა დეპუტატების სათემო და სამაზრო საბჭოები ან რევოლიუციონური კომიტეტები ღებულობენ ყოველივე საჭირო ზომებს მიწების ჩამორთმევის დროს სასტიკი წესრიგის დასაცავად.

6. ყოველ სოფლის საზოგადოებაში ან თემში დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს უმიწაწყლო და საშუალო მიწის მშრომელთაგან, ე. ი. ღარიბი გლეხკაცობისაგან, მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) და ადგილობრივ პირობების მიხედვით განსაზღვრავენ როგორც მიწის იმ ნორმას, რომელიც უნდა ჩამორთმეულ იქნას, აგრეთვე მიწის იმ ნორმას, ანუ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეს გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს სასარგებლოდ მიწის არსებული ფონდიდან, გარდა იმ მამულებისა, რომელთა მოვლა-პატრონობა და დამუშავება თანახმად ამ დეკრეტისა დაკისრებული აქვს თვით სახელმწიფოს ან თემს. (მუხ. 7).

7. სხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის და მაღალი კულტურის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორანჟერეები და სხვ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ გადაიქცევიან კულტურულ-აჩვენებელ სახალხო მამულებად და გადაეცემიან თავის სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან ადგილობრივ საბჭოების განკარგულებაში.

**შენიშვნა**: აგრეთვე ჯიშიანი ოთხფეხის ან ფრინველის მომშენებელი ყოველი კერძო წარმოება უნდა გამოცხადდეს სახალხო ქონებად და უნდა გადაეცეს თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან თემს.

8. საბჭოთა მთავრობა, როგორც სასოფლო მეურნეობის წარსამატებლად და განსავითარებლად, ისე მშრომელი მასის საკეთილდღეოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სათემო ანუ კოლექტიური მეურნეობის სხვადასხვა ფორმების (კომუნების, არტელების და სხვა) შემოღებას და ზრდა განვითარებას. კოლექტიურ მეურნეობაში მოწვეულ უნდა იქნენ სოფლის პროლეტარები და ნახევარ პროლეტარები ანუ ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არა აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან თუ აქვთ მეტად უმნიშვნელო, ე. ი. არ მოეპოვებათ არც საკმაო მიწა და არც საკმაო სამეურნეო იარაღი მის დასამუშავებლად. ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა თავისუფალი მიწის ნაკვეთები, გარდა ამისა სახელმწიფო აღმოუჩენს მათ როგორც აგრონომიულ დახმარებას, ისე ნივთიერ საჭსარსაც, მიწის დამუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად.

9. მიწის წიაღი. მადნეულობა, ნავთი, ქვანახშირი, შავი ქვა, მარილი და სხვა, აგრეთვე ტყეები, მდინარეები და ტბები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გადადიან სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში; ყველა პატარა მდინარეები, ტბები და ტყეები (ბუჩქნარები) გადადიან სათემო სარგებლობაში, რომელთაც განაგებენ ადგილობრივი თვითმართველი ორგანოები (გლეხთა დეპუტატების საბჭოები).

10. მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარის შრომით თავის ოჯახის დახმარებით ან ამხანაგობით და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეიძლება მიწის მუშაობა. მიწის მშრომელი, რომელთაც მოხუცებულობის ან დასნეულობის გამო სამუდამოდ მოაკლდებათ მუშაობის უნარი, კარგავენ უფლებას მიწით სარგებლობისას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან ღებულობენ დახმარებას პენსიის სახით.

ამ გზით ჩამორთმეული მიწის ნაჭრები გადადიან სახელმწიფოს საადგილმამულო ფონდში, უპირატესობა ამ ნაწილების მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესავებს იმ პირისა და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

11. ყველა მიწის მუშაკი, უმიწაწყლო თუ მცირე მიწის მქონებელი გლეხი სახალხო, საფონდო მიწიდან მიიღებს საკმაო მიწას, რაც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის არსებობას.

12. თუ ვინიცობაა რომელიმე ადგილას მიწის სივიწროვეა და არსებული ფონდი საკმაო არ იქნება, ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად შესაძლებელია მოხდეს გადასახლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ამ შემთხვევაში გადასახლების მოწყობა და აგრეთვე ამის გამო გამოწვეულ ხარჯებს და გადასახლებულებისათვის საჭირო სამეურნეო იარაღების მიწოდებას კისრულობს თვით სახელმწიფო. თვით გადასახლება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და არავითარ იძულებით მოქმედებას ადგილი არ უნ და ჰქონდეს.

13. ვინც ამ ქონებრივი გადატრიალების დროს დაზარალდება, მას აქვს უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ დახმარებაზე იმ დრომდე, სანამ ის ახალ პირობებს შეეწყობა.

14. ჩამორთმეული მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი, ანუ სამეურნეო იარაღები, მაშინები, პირუტყვი და სხვა უსასყიდლოდ გადადის თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში.

15. ამ დეკრეტის ძალით ყოველგვარი გადასახადი მიწაზე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუდამოდ ისპობა.

16. ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია ყველა მიწის კანონები, რომლებიც იქნენ გამოცემული სხვადასხვა მთავრობისაგან 1921 წ. 25 თებერვლამდე, როგორც მაგალითად 1917 წ. 16 დეკემბრის, 1918 წ. მარტის 7-ს, 1919 წ. 28 იანვრის და 1920 წ. 10 თებერვლის.

17. იმ უმიწა-წყლო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომლებმაც ყოფილ მთავრობის დროს მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ფულზე,—ნაყიდი მიწა რჩება მის სარგებლობაში ამ დეკრეტის საფუძველზე ხოლო გაღებული ფული უნდა დაუბრუნდეს ხაზინიდან.

18. საბოლოოდ დაწვრილებითი კანონი მიწის საკითხის მოსაგვარებლად და ცხოვრებაში გასატარებლად ამ დეკრეტის საფუძველზე გამომუშავებული და გამოქვეყნებული იქნება სულ ახლო მომავალში.

რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე; რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. აპრილის 6

თბილისი —სასახლე.

## მიწის საკითხის გადაჭრა.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში ამაოთ ელოდებოდა საქართველოს გლეხკაცობა მიწის საკითხის სამართლიანათ გადაჭრას. 1917 წლის რევოლიუციამ მას მიწის გადაცემა დაპირდა, მაგრამ მხოლოდ იმავე წლის ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა რუსეთის გლეხკაცობას ეს მიწა. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს მოხდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთში. რაც შეეხება საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს, ე. ი. წინანდელ ამიერ-კავკასიას, აქ მიწის საკითხის გადაჭრამ სულ სხვა მიმართულება მიიღო.

აქ გაბატონებულმა პარტიებმა—მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა მოინდომეს გლეხკაცობის დატყუილება, რათა მემამულეთა მიწათმფლობელობა დაეხსნათ განსაცდელისაგან. სიტყვით ეს პარტიები და ყველაზე უწინ ქართველი მენშევიკები გლეხკაცობას მიწას პირდებოდენ, თითქო აძლევდენ კიდეც, სიტყვით ისინი ახდენდენ მსხვილ მემამულეთაგან მიწის კონფისკაციას და მართლაც ერთი ნაწილი მიწებისა კიდევაც ჩამოართვეს. მაგრამ ნამდვილათ, საქმით გაჭირვებულ გლეხკაცობას მიწა ან სრულებით არ მიუღია, ან თუ მიიღო სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. დიდძალი მიწები ან ისევ წინანდელ მემამულეთა ხელში დარჩა ან თვით მენშევიკების მთავრობის განკარგულებაში გადავიდა მიწის ფონდის სახით. ამ ფონდიდან მენშევიკებმა იწყეს მიწის იჯარით გაცემა უმეტეს ნაწილათ სხვილ მეიჯარეებზე და მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში გადასწყვიტეს მცირე მიწის მეპატრონეებისთვის მიეყიდათ მიწის განსაზღვრული რაოდენობა. თავისთავად იგულისხმება, რომ მენშევიკების ასეთი აგრარული რეფორმა, რომლითაც ისინი ასე იქვეხნიდენ თავს, სავსებით მოკლებულია სამართლიანობას. ამ რეფორმამ უზრუნველყო მხოლოდ წინანდელი მსხვილი მემამულეები, გაჭირვებულ, უმიწაწყლო და მცირე მიწის მეპატრონე გლეხკაცობას არა შესძენია რა, როგორც იყო იგი დამოკიდებული მემამულეთაგან, ისევ ისეთი დარჩა, როგორც იხდიდა წინეთ ღალას, იჯარას, როგორც ამუშავებდა სხვის მიწას, ყოველივე ეს ისევ უცვლელი დარჩა. მენშევიკების რეფორმით ჩვენი გლეხკაცობა ყოველთვის დიდათ უკმაყოფილო იყო, მან არა ერთხელ სცადა იარაღით ხელში ამ უსამართლობის თავიდან აცილება, მაგრამ მტერი მაზე უფრო ძლიერი გამოდგა. და მხოლოდ აი ახლა, ოთხი წლის ამაო ლოდინის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით საქართველოში, მიწის საკითხის გადაჭრა ხდება სამართლიანად მშრომელი გლეხკაცობის სასარგებლოთ.

მენშევიკებმა, რა თქმა უნდა, ბევრი ჰქონი, ბევრი სიცრუე და ცილისწამება გაავრცელეს ბოლშევიკების წინააღმდეგ იმედ გაცრუებული გლეხკაცობის ჩაგონისმოსაგებათ. მათ სცადეს გლეხობისთვის ჩაეგონებიათ, რომ ბოლშევიკები მოსვლისთანავე არა თუ არ მისცემენ გაჭირვებულ გლეხებს მიწას, არამედ წაართმევენ მათ იმასაც, რაც აქვთო. ამ ცილისწამებასაც, ამ საზიზღარ ჭორსაც დღეს ბოლო ეღება. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც ამასთანავე საყოველთაოდ ქვეყნდება, ცხად ყოფს ჩვენი მტრების და ხალხის მატყუარების სიყალბეს და სიფლიდეს. საქართველოში ამიერიდან ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის კუთვნილებას შეადგენს. მიწა ყველა მშრომელისთვის ხელმისაწვდომი ხდება. ყველა სხვილ მემამულეებს მიწა შენობებით, სამეურნეო იარაღებით, პირუტყვით უნდა ჩამოერთვათ უსასყიდლოთ და მშრომელი გლეხკაცობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს. რა თქმა უნდა, და ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას,—წვრილი და საშუალო მიწის მფლობელი ხელუხლებელი რჩება, ის მიწა, რომელიც დღეს იმათ ხელშია, უნაკლულოდ რჩება იმათვე სარგებლობაში და მიეცემათ კიდევ იმდენი მიწა, რამდენიც საჭიროა იმათ ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. დღიდან დეკრეტის გამოქვეყნებისა სოფლებში და სასოფლო საზოგადოებებში ანუ თემებში უნდა შესდგეს ადგილობრივ ღარიბ გლეხებიდან მიწის კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც იმ მიწის ნორმას, რომელიც უნდა ჩამოერთვათ ყოფილ მემამულეებს, ისე ნორმას, რომელიც უნდა მიწის ფონდიდან გადაეცეს სრულიად უსასყიდლოთ გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს. ის ნორმები, რომლებიც დაწესებული იყო მენშევიკების მიერ სხვილ მიწათმფლობელებისთვის, რა თქმა უნდა, უქმდება. უქმდებიან ამასთანავე ყველა ის კანონები მიწის შესახებ, რომლებიც გამოცემული იყვნენ 1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოში. გარდა ამისა მენშევიკების მიერ ჩადენილ უსამართლობას რომ ბოლო მოეღოს, საბჭოთა მთავრობა საჭიროთ თვლის, რომ იმ წვრილ და საშუალო გლეხებს, რომლებმაც მიწის ფონდიდან იყიდეს მიწა, გაღებული ფული უკანვე დაუბრუნდეს, და თვით შეძენილი მიწა კი იმათვე სარგებლობაში დარჩეს.

ასეთია მოკლეთ მიწის საკითხის გადაჭრა, რომელსაც შეურყევლად გაატარებს ცხოვრებაში საქართველოს საბჭოთა მთავრობა. ეს არის ერთად-ერთი სწორი და სამართლიანი გადაჭრა ამ უდიდესი და ფრიად სერიოზული საკითხისა. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, მხოლოდ კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკების) შეუძლია მიწის საკითხის გადაჭრა ხალხის დიდი უმრავლესობის, ანუ ყველა მშრომელთა სასარგებლოთ. ყველა დანარჩენი პარტიები, დაწყებული აშკარა ბურჟუაზიულ პარტიებიდან და გათავებული მენშევიკებით, მიწის საკითხს აფერხებდნენ და გლეხკაცობას ატყუებდენ. მხოლოდ კომუნისტების პარტიამ, ე. ი. ბოლშევიკების პარტიამ შესძლო მიწის საკითხის სინათლეზე გამოტანა, მისი პირდაპირ დაყენება. მხოლოდ ამ პარტიამ შესძლო [illegible] სიმართლით თქმა საჯაროთ, დაუფარავათ, ვინაიდან მხოლოდ ის არის ერთად-ერთი პარტია, რომელიც ბოლომდის იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ფ. მახარაძე.

# დღეს ნომერში:

საქ. რევკომის დეკრეტი მიწის შესახებ.

დეკრეტი სამხედრო მოქმედებით მიყენებულ ზარალის ამნაზღაურებელ კომისიის დაარსების შესახებ.

ბრძანება საგანგებო კომისიის მოქალაქეთა გაჩხრეკის წესის შესახებ.

ხია მენშევიკების მიერ გატაცებულ განძეულისა.

# რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა

პერეპეჩკო. რომ მას ნათლად ეჩვენებინა კარგი შედეგები ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა, ამხანაგი კრესტინსკი ასახელებდა, რომ საგუბერნიო კომიტეტებში თითქმის 80 პროც. მუშებიათ. ამნაირად ამხ. კრესტინსკის ლაპარაკიდან ის გამოდის, რომ საჭირო არ არის მუშების გაყვანა, რადგან ისედაც ყველგან მუშები სხედანო. მე კი მინდა ვსთქვა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ კითხვის დაყენება, რომელსაც იცავს ამხ. კრესტინსკი, პრიმიტიულია. ის ზომები, რომელსაც ღებულობდა ცენტრალური კომიტეტი პარტიის გაჯანსაღებისათვის, მხოლოდ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს, ეს იყო უფრო სიტყვები. არავითარ კონკრეტულ ზომების მიღებას, არავითარ სერიოზულ მუშაობას ადგილი არ ჰქონია. სერიოზულად საქმის გადაჭრა არ ყოფილა. ბიუროკრატიზმი და საკითხი მის შესახებ, მტკივნეულ საკითხად უნდა ჩაითვალოს ჩვენი პარტიისათვის.

მეორე საკითხი წამოყენებული ცენტრალურ კომიტეტის მიერ გახლავთ—პარტიის გაჯანსაღება. ეს საკითხიც არ იყო გადაწყვეტილი სავსებით, ბევრი ლაპარაკი იყო არა ნორმალურ მოვლენებზე ჩვენს პარტიაში, და სხვა არაფერი, ამით გათავდა სულ საქმე. ამხ. ზინოვიევი, ძლიერ ფერადებით გვიხატავდა, უმსგავსოებას, რომელიც შედეგად მოსდევს ქვედა ფენებისაგან დაშორებას, მარა ამის წინააღმდეგ, გარდა ტეხნიკურ ზომების მიღებისა, არაფერი სერიოზული არა გაკეთებულა რა. აქ გამოვიდა ამხ. ოსინსკი და ილაპარაკა, რომ მუშათა ორგანიზაცია—ეს დეცენტრალიზმიაო. თუმცა მე მშვენივრად ვიცი და გაცნობილი ვარ მუშათა ოპოზიციის მოღვაწეობასთან სხვა და სხვა ადგილებში, მაგრამ მე არ ვიცი არც ერთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს სიმართლეს ამხ. ოსინსკის განცხადებისას.

თუ თქვენ გაეცნობით დემოკრატიულ ცენტრალიზმის თეზისებს, დაინახავთ, რომ ეს არის ჯგუფი, რომელიც იხრწნება და ნახევრად უკვე გახრწნილა კიდეც. მეათე ყრილობა და თეზისები საბოლოოდ შემუსრავენ მას. ეს ჯგუფი ფაქტიურად მიექანება ისევ იმავ ბიუროკრატიზმისა და ცენტრალიზმისაკენ, რომლისაგანაც თვითონ უსაფუძვლოთ ზურგს იბრუნებს. მუშათა ორგანიზაცია—ამბობდა ამხ. სოსნოვსკი—ჩვენს პარტიის გაჯანსაღებას ინტელიგენციის საწინააღმდეგო ბრძოლაში ხედავს. თუ რომ, მართლაც, მუშათა ოპოზიცია პარტიის გაჯანსაღების მთავარ საშუალებას მართლა რომ ინტელიგენციასთან ბრძოლაში ხედავდეს, მაშინ, მართლადაც, ჩვენ უნდა მოგვეხსნა სახელწოდება მუშათა ოპოზიციისა. მაგრამ მადლობა ღმერთს, ამ გზას არც ჩვენ და არც ერთი წევრი ჩვენი პარტიისა არ დაადგება. ჩვენ სულ სხვანაირად ვაყენებთ საკითხს. ეს გამოიხატება იმაში, რომ შევაკავშირ-შევადუღოთ მუშათა მასსებში, შევაკავშიროთ იგინი პარტიასთან, საბჭოთა ორგანიზაციებთან და ისე კი არ შევაკავშიროთ, როგორც აკავშირებენ მათ მუშათა ინსპექციების საშუალებით. იქ მუშები ხდებიან აგენტებად, კონტროლიორებად, რომელთაც აგზავნიან საქმის გამოსაკვლევათ და რომელთაც რაიმე ახლის მოცემა არ შეუძლიანთ.

მინინი. აქ წარმოებულ დისკუსიიდან უკვე გამოირკვა, რომ იმ ნაკლულევანებებს, და მახინჯ მოვლენებს, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენში ამ ჟამად, და როგორიც არის მაგალითად მუშათა ოპოზიცია, ჰქონიათ თავიანთი მიზეზები, ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის ნაკლულოვანებაში, რასაკვირველია, არა პოლიტიკურ, არამედ ორგანიზაციულ სფეროში. ამის აშკარა დამამტკიცებელ საბუთად გახლდათ მოხსენება ჩვენი პარტიის გენერალურ მდივნის ამხ. კრისტინსკისა. იგი ითვლება წარმომად-

[illegible]

რომელიც ჩვენი პარტიის შტაბად არის დასახული, რომელიც ჰქმნის პარტიას, ჰქმნის თვითონ იმ პარტიულ ლაშქარს, რომლის პოლიტიკურ ხელმძღვანელადაც ცენტრალური კომიტეტი ითვლება ცენტრში, ან პოლიტიკური ბიურო ადგილობრივ და, თუ ჩვენ ორგანიზატორულ მუშაობას დავაფასებთ ამ მოხსენების მიხედვით, მაშინ სრულიად ცხადი იქნება ბევრი შეცდომანი და მახინჯი მოვლენანი ჩვენის პარტიისა. რა ითქვა ნამდვილად აქ ჩვენი პარტიის მდგომარეობის შესახებ ცენტრალურ კომიტეტის მიერ დაწყებულ აღმშენებლობით მუშაობაზე. ჩვენ მოვისმინეთ ზეპირი გამეორება უკვე დაბეჭდილ ციფირებისა. ყველა ამ ციფირების მოყვანას კი ემჩნევა დიდი ბიუროკრატიული ხასიათი. ეს მოხსენება შეიძლება ცუდიც არ იყოს, როგორც მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის საქმეთა მმართველისა, მაგრამ ეს არ გახლავთ მოხსენება ჩვენი პარტიის მთავარ მდივნისა. ჩვენ ვტყობილობთ, რომ გამრავლდა რიცხვი კრებაზე დამსწრეთა, შემოსულ ქაღალდებისა, შტატი გადიდებულ იქნა 200 კაცამდე; ვტყობილობთ თუ რამდენი კაცი მუშაობს საქმეთა გამგეობაში. მაგრამ ჩვენ ვერ ვტყობილობთ რამდენი წევრი ირიცხება ჩვენს პარტიაში საერთოდ. ჩვენ ვტყობილობთ რამდენი განყოფილება და ქვე-განყოფილებაა ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ ჩვენ ვერ ვტყობილობთ, რამდენია სამაზრო და საგუბერნიო ორგანიზაცია. გავყვეთ შემდეგ, ამხანაგებო, როდესაც მოგვაწოდეს სტატისტიკა ჩვენი პარტიისა, საჭირო იყო მოხსენება დინამიკისაც. მოხსენებულ უნდა ყოფილიყო რითი სულდგმულობს ჩვენი პარტია.

შედარებით იგივე ციფრები დელეგატთა მეცხრე ყრილობის შემადგენლობის შესახებ: მუშები 51 პროც., შემდეგ სხვადასხვა გუბერნიებში 30000 პარტიის წევრიდან მუშებია 52 პროც., შემდეგ მაზრის მუშაკთა შორის მუშებია 45 პროც., საგუბერნიო კომიტეტების 14 გუბერნიისა 61 კაცი—40 პროც. მუშები და ცენტრალურ კომიტეტის ანგარიში 75 გუბერნიისა—39 პროც. გამოდის რომ პარტიის მთავარ საკითხს შეადგენს მუშათა ახალ ძალების მიზიდვა. ეს საკითხი მთლიანად არ არის განხილული და მუშათა ოპოზიცია ამას ხელზე იხვევს.

მივიწყებულია საზოგადოდ მუშაობა ფართო მასსების აღზრდის საქმეში, იმ მასსების, რომელნიც ჩამორჩენილნი არიან, რომელნიც სიმშილობის ნიადაგზე ადგენენ მუშათა ოპოზიციებს და სხვ. დავიწყებულია ეს მთავარი მიზანი, წამოყენებული მეცხრე ყრილობის მიერ, და რომელზედაც ჩვენ არ გვსმენია არც ერთი სიტყვა. დაბოლოს მე მიგითითებთ უფრო მეტ სერიოზულ ნაკლულოვანებაზე. თქვენ მოისმინეთ, რომ ჩვენ ყველგან გვესაჭიროება გეგმა. ერთნაირი სამეურნეო გეგმა, სუყოველგვარი სხვადასხვა ერთიანი გეგმები, ანუ საზოგადოდ გეგმები. მაგრამ გახლავთ ერთი დარგი, რომელიც გეგმას არა სცნობს—ეს გახლავთ ჩვენს პარტიის ორგანიზაციაში. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო დარგში უგეგმოდ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამთ, პარტიაში კი თურმე ეს შესაძლებელი ყოფილა. და აი, რადგანაც გეგმა არ არსებობს, ამიტომ ყველა ეს ძირითადი კარდინალური საკითხები ავიწყდებათ კიდევაც. ორგანიზაციონულ დარგში გეგმის შედგენა რომ სდომებოდათ, აიღებდენ მაშინ წინა ყრილობათა ყველა დადგენილებებსა. ამოკრებდენ იქიდან რაც უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს და რაც ნაკლებ საჭიროა—შეუცვლიდენ, გადაანაწილებდენ და მუშაობას მთლიან სურათს მისცემდენ. უნდა დაისვას ამოცანა, შესრულდეს ის მიეცეს იგივე ამოცანა ადგილობრივ ორგანიზაციებს და შეადგინოთ აზრი გეგმის საჭიროებისა. ნამდვილად კი ეხლა...

[illegible]

კრესტინსკი, რამდენადაც ის წარმოადგენს ცენტრალურ კომიტეტს, იგი სისტემატიურად უარს ჰყოფს სისტემას. იგი აქეთებს მეტად უცნაურ დაპირებას გეგმის თანდათანობისა და დაკვრით ხასიათის შორის. თითქოს ისინი აუცილებლად ეწინააღმდეგებოდენ ერთი მეორეს.

რასაკვირველია, აქედან ცხადია, თუ რათ ვრცელდება გეგმის იდეალი ყველა საბჭოთა და სამეურნეო დარგში ასე ნელა. ეს იმიტომ ხდება, რომ ცენტრალურ კომიტეტის ორგანიზაციულ მუშაობას არა აქვს საკუთარი გეგმა, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ჩვენი პარტიის მთავარ მდივნის მოხსენებიდან. ეს გარემოება კი დიდ გავლენას ახდენს და მომავალშიც გავლენას იქონიებს იმ მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებენ ყველა, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. ორგანიზაციებში. მხოლოდ სამხედრო დარგში, თვით საქმის პრაქტიკა მოითხოვდა ჩვენგან გეგმას და ამ გეგმიანობამ მოიტანა იქ უდიდესი ნაყოფი.

# საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვი. 5 მარტი. (რადიო). კვირას წითელ მოედანზე გაიმართა კრონშტადტის გმირთა პატივსაცემლად ალლუმი. ალლუმში მონაწილეობა მიიღო მთელ მოსკოვის (გამოტ.) კრონშტადტის რაზმის მეთაურობით მოსკოვის გარნიზონმა და კომუნისტურმა რაზმებმა. ალლუმი მიიღო სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარემ ტროცკიმ მთელ საბჭოს თანადასწრებით. ალლუმის შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი. კრონშტადტზე გამარჯვებულებს მუშათა და გლეხთა არმიის სახელით მიესალმა ტროცკი, რომელმაც დაახასიათა განსაკუთრებული მნიშვნელობა კრონშტადტის ამბებისა. შემდეგ გამოვიდა კრონშტადტის გამარჯვების ხელმძღვანელი ლუროშევსკი, რომელმაც აღნიშნა არაჩვეულებრივი მამაცობა, თავგანწირვა და ორგანიზაციული გამოსვლა კრონშტადტში კურსანტების და წითელ არმიელებისა. ოლქის სახელით მძლავრ და ნათელ სიტყვებით მიესალმა კურსანტებს მურალოვი. ინტერნაციონალურ კომიტეტის სახელით ილაპარაკა ინგლისურათ ამერიკის კომუნისტურ პარტიის წევრმა ჯონსონმა: „საოცარი და გასახარელ იმედებით“, სთქვა მან... (გამოტოვებულია)... „ჩვენში დასავლეთში ჯერ კიდევ არაა კომუნისტური გამარჯვება, მაგრამ ჩვენში შეკავშირებულია კომუნისტური უმცირესობა, რომელსაც სწამს, რომ ახლოა საათი, როდესაც შევეძლება ხელთ ავიღოთ ძალა-უფლებაო“. შემდეგ ამხ. ტროცკიმ რაზმების წარმომადგენელთ საომარი დროშა ჩააბარა. საღამოთი გაიმართა დიდი კონცერტ-მიტინგი გამარჯვებულთა პატივსაცემლათ.

**ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა რუსეთში.**

მოსკოვი. 5 მარტი. (რადიო). ჯანმრთელობის სახალხო კომისრის თანაშემწემ ამხ. გაუგემ გერმანიაში ყოფნის დროს ბერლინის ინსტიტუტში წაიკითხა რეფერატი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საბჭოთა რუსეთში. წაკითხულმა რეფერატმა, სტუდენტებით ექიმებით და პროფესორებით ავსებულ აუდიტორიაში გამოიწვია დიდი ინტერესი, ვინაიდან აქამდის გერმანიის განათლებული საზოგადოება მოკლებული იყო ნამდვილ ცნობებს რუსეთის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი ვითარების შესახებ.

**თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა**

მოსკოვი 5 აპრ. (რადიო) დღის ლოზუნგები თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას შეუძლია მისცეს გლეხებს თავიანთ ზედმეტი შრომის შედეგი. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება თვით გლეხების საქმეა. საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ დაეხმაროს გაუმჯობესებაში (დამახინჯებულია). არ უბრძანებს. სათესი კომიტეტები და სოფლის კომიტეტები არიან გლეხთა თვითმოღვაწეობის ორგანოები. მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება შეჩერება სასოფლო მეურნეობის დაშლისა.

**რესპუბლიკა ბავშვებზე ზრუნავს**

მოსკოვი, 5 მარტი. (რადიო). ტამბოვში მიღებულია მეტად ენერგიული ზომები ბავშვების ცხოვრების გასაუმჯობესებლად. გადიდებულია თავშესაფრების რიცხვი, დათვალიერებულია ყველა საბავშო დაწესებულება, ეწყობა ბავშვთა ლაზარეთები და თავშესაფარები, რომელნიც უზრუნველ ყოფილნი არიან ყველა საჭირო საგნით. ბავშთა სასადილოების კონტროლი მიენდო მშრომელთა საბჭოს.

**საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.**

მოსკოვი. 5 აპრილი. (რადიო) საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა პროტესტი საფრანგეთსა, აფრიკასა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მყოფ 25 ათას რუს-სამხედრო-ტყვეების გამო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ნოტა არ მიუღია, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია უარჰყოს ეს განცხადება. ყველა რუსი ჯარის კაცი, რომელნიც საფრანგეთსა და მის მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყნებში იყვნენ, დაბრუნებული არიან რუსეთში. ამ ჟამად საფრანგეთში იმყოფება 70 ავადმყოფი რუსი ჯარისკაცი, რომელთაც მორჩენის შემდეგ დაუყონებლივ დააბრუნებენ რუსეთში.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დეკრეტი № 16.**

**საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**უბრალო წერილების გაგზავნისათვის არსებული გადასახადის გაუქმების შესახებ.**

მშრომელი ხალხის ურთიერთ შორის დამოკიდებულების გასაადვილებლად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. გაუქმებულ იქნეს უბრალო დახურული და ღია წერილების გაგზავნისათვის არსებული ფასი, რომელთა წონა არ აღემატება 15 გრამს.

2. დაევალოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარს, მიიღოს საჭირო ღონისძიება ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა ქსელის გავრცელებისა და გაფართოვებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 4.

თბილისი—სასახლე.

**დეკრეტი № 15.**

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

[illegible]

თა მუშა-მოსამსახურეების მობილიზაციის შესახებ.

ვინაიდან რესპუბლიკისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფოსტა-ტელეგრაფის საშვალებით ურთიერთ შორის დამოკიდებულების ორგანიზაციის საქმე სათანადო სიმაღლეზე იყოს დაყენებული, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. გამოცხადდეს მობილიზაცია ფოსტისა, ტელეგრაფისა, ტელეფონის და რადიოს მოსამსახურეებისა.

2. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარს, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთ დაწესებული სურსათის ნორმა აძლიოს პირველ რიგში.

3. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა შენობები, აგრეთვე ბინები მოსამსახურეთა და მათი ოჯახების კუთვნილი თეთრეული, ტანისამოსი, ავეჯი და სხვ. შინაური სამეურნეო ქონება თავისუფალია კონფისკაციისა და რეკვიზიციისაგან.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 4.

თბილისი—სასახლე.

**ბრძანება № 30**

**ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარების მიცემისა.**

ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და წარმოებათ წინადადება ეძლევათ.

1. დაწესებულებათა და წარმოებათა იმ მუშებს და მოსამსახურეთ, რომელნიც ამ ბრძანების გამოქვეყნების დროისათვის სამსახურში იმყოფებიან და რომელთაც ყოფილი მენშევიკური მთავრობისაგან არ მიუღიათ ამა წლის მარტის კუთვნილი ჯამაგირი, მიეცეს დახმარება ათი ათასი (10,000) მანეთი.

2. ამ ბრძანების პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხის გარდა არ შეიძლება გაცემულ იქმნას რაიმე სხვა დახმარება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომის სახალხო კომისარის განსაკუთრებული განკარგულებით.

3. ყველა ის თანხა, რომელიც მიღებული აქვთ პირველ მუხლში მოხსენებულ პირთ მარტის ამა წლის 1-ლის შემდეგ უნდა ჩაეთვალოთ ამავე ბრძანების პირველ (1) მუხლში მოხსენებული დახმარების ანგარიშში.

**შენიშვნა:** წინათ გაცემული თანხა, თუ იგი აღემატება ამ ბრძანებით მისაცემ დახმარების ჯამს, უნდა ჩათვლილ იქნეს მომავალი ჯამაგირის ანგარიშში გაცემულ ავანსად და გამორიცხულ იქნეს ჯამაგირიდან.

4. ამ ბრძანების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი ლადო **დუმბაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

**დეკრეტი № 14**

**ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა სამხედრო მოქმედებით მიყენებული ზარალის ამნაზღაურებელი კომისიის დაარსების შესახებ.**

იმ დაზარალებულ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც წითელი არმიის საჭიროებისათვის რეკვიზიციით ჩამოერთვათ ცხენები, ურმები, შესაბმელი მოსართავები, საქონელი და საკვები საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების დროს, დაწყებული 1921 წ. თებერვლის 8-იდან და აგრეთვე ამავე სამხედრო მოქმედების ხანაში ჯარის ნაწილების ბანაკობის დროს და არ მიუღიათ კანონით დაწესებული ბარათები, დაარსებულ იქნას თფილისში კომისია—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, მე-11 არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს შემდეგით: 1. განცხადებები ფულით დაკმაყოფილების შესახებ იმ მოქალაქითა, რომელთაც აქვთ კანონიერი გზით შედგენილი აქტი ან ბარათი სათანადო შემსყიდველ კომისიათა მიერ მიცემული იმის შესახებ, რომ მათგან ჯარის ნაწილების საჭიროებისათვის შეძენილ იქნა—ცხენები ურმები, შესაბმელი მოსართავები, საქონელი და საკვები,—არ ექვემდებარებიან ზემოხსენებული კომისიის განხილვას და მის მიერ დაკმაყოფილებას: ასეთი განცხადებები დაკმაყოფილებულ იქნება მე-11 არმიის მომარაგების სამხედრო უფროსის მიერ უშუალოდ..

2. მოქალაქეთა მიერ აღძრული საჩივრები ზარალის ანაზღაურების შესახებ უნდა წინასწარ გაეგზავნოს ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტებს ცალკე წერილობითი განცხადებით, სადაც სისწორით უნდა აღინიშნოს: წელიწადი, თვე და რიცხვი რეკვიზიციის მოხდენისა და შეძლების დაგვარად დასახელებულ იქნეს ჯარის ნაწილის სახელწოდება, ან დაწესებულება, ან თანამდებობა, ან გვარი იმ პირთა, რომელთაც მოახდინეს რეკვიზიცია, აქვე ჩამოთვლილი უნდა იყოს რეკვიზიციით ჩამორთმეული ყველა საგნები.

3. ამავე განცხადებაში აუცილებლად მოხსენებული უნდა იქნეს, რომ ხსენებულ საგნების რეკვიზიცია მოხდა ადგილობრივ რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით, ან ამ უკანასკნელის განკარგულებით.

4. იმ შემთხვევაში, როცა ფაქტიურ რეკვიზიციის დროს რაიმე მიზეზების გამო ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი არ არსებობდა, განცხადებებ

ში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს. ადგილობრივად რომელ ადმინისტრატიულ ხელისუფლებას შეუძლიან დაადასტუროს მომჩივნისათვის რეკვიზიციის მოხდენის სინამდვილისა.

5. განცხადებები უნდა იყოს მთხოვნელების მიერ პირადად ხელმოწერილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იმათ წერა კითხვა არ იციან, მათ მაგიერ სხვა პირთა ხელმოწერა შემოწმებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიულ ორგანოთა მიერ ბეჭდის დასმით.

6. უკეთუ განცხადებებში (მუხლი მე-2) დასახელებული იქნება მოწმეთ ჩვენების ჩამოსართმევათ ადგილობრივმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა რეკვიზიციის დამსწრეთ უნდა ჩამოერთვან ხელწერილი, რომ ისინი საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე პასუხს აგებენ ყალბი ჩვენების მიცემისათვის და დასჯილ იქნებიან რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ რევოლიუციონური კანონების სიმკაცრით.

**შენიშვნა:** აღნიშნული ხელწერილები რევოლიუციონური კომიტეტების მიერ შემოწმებული განცხადებებს უნდა დაერთოს.

7. ზემოდ ნაჩვენები განცხადებანი ყველა საბუთების თანდართვით რევოლიუციონურმა კომიტეტებმა დაუყონებლივ უნდა წარუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ წითელ არმიის საჭიროებისათვის რეკვიზიციის ქონების ჩამორთმევის და დაზარალებულ მოქალაქეთა საჩივრების დამაკმაყოფილებელ კომისიას (თბილისის ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში.)

8. კომისიის მიერ ზარალის ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეკვიზიციის გამო დაზარალებული პირი ქონებრივად უზრუნველყოფილი არ არის და ნამდვილათ უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ამასთანავე ამ საკითხის გადაწყვეტა წინასწარ და საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ ევალება ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტს ამ უკანასკნელის თავმჯდომარის პირადი პასუხისმგებლობით, რომელიც ვალდებულია დაზარალებულ პირის განცხადების კომისიაში გადაცემის დროს წარუდგინოს კომისიას თავისი გარკვეული და სწორი დასკვნა.

9. წითელი არმიის საჭიროებისთვის ქონების რეკვიზიციის ჩამორთმევის გამო დაზარალებულ პირთა საჩივრების დამაკმაყოფილებელი კომისია განცხადებათა განხილვის დროს აუცილებლათ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებით რეკვიზიციის დროს ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით.

10. კომისია არ განიხილავს იმ დაზარალებულ პირთა განცხადებებს, რომელთაც რეკვიზიციით ჩამოერთვათ ქონება ყოფილ მენშევიკურ მთავრობის ხელისუფლებათა და ჯარის ნაწილების მიერ.

11. საქართველოს რესპუბლიკის ყველა რევოლიუციონური კომიტეტები მოვალენი არიან დეკრეტი ესე ფართოდ გამოაქვეყნონ და ხანწრაფოდ წარუდგინონ კომისიას რეკვიზიციით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებანი მათთვის ზარალის ანაზღაურებისა ამ დეკრეტში ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნილებათა სწორი დაცვით.

12. ამავე რევოლიუციონურ კომიტეტებს ევალებათ გააცნონ საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთ კომისიის მიერ მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესი.

13. ამ დეკრეტში გათვალისწინებული წესების შესრულება სავალდებულოა, ამიტომ მოქალაქეთა განცხადებანი, რომლებსაც დართული არ ექნება ზემონაჩვენები დამადასტურებელი საბუთები, დაკმაყოფილებული არ იქნება.

14. საბჭოთა ყველა დაწესებულებები და ის თვითეული პირი, რომელნიც სისწორით არ შეასრულებენ ყველაფერს რაც ამ დეკრეტშია ჩამოთვლილი, ან მოქალაქეთა საჩივრების დაკმაყოფილების საქმეს დროზე არ შეასრულებენ მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში.

15. ყოველგვარი მიწერ-მოწერა რეკვიზიციით დაზარალებულ მოქალაქეთა საჩივრების საკითხის გამო თავისუფალია გადასახადისაგან.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **კვირკელია.** რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

### ბრძანება № 4.

**კონტრ-რევოლიუციასა, ჯაშუშობასა, სპეკულიაციასა, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასა და ცარცვა-გლეჯასთა მებრძოლ საქართველოს საგამომძიებლო საგანგებო კომისიისა.**

უკანასკნელ დროს ქალ. თბილისში და მასთან ახლო მდებარე რაიონებში გახშირდა შემთხვევები მოქალაქეთა გაჩხრეკისა გაძარცვის მიზნით, სისხლის დამნაშავე—ბნელ ელემენტების მიერ საქართველოს საგანგებო კომისიის და ხელისუფლების სხვა ორგანოების სახელით.

სდგას რა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ წესრიგისა და რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეთა პიროვნების უზრუნველყოფის ნიადაგზე, და აგრეთვე აქვს რა დასახული მიზნათ დაუზოგავად გაუსწორდეს იმ ელემენტებს, რომლებიც გაძარცვის მიზნით ესხმიან თავს ყოველ მოქალაქის საკუთრებას, საქართველოს საგანგებო კომისია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ საგანგებო კომისიის წარმომადგენლებმა უნდა აწარმოვონ გაჩხრეკა, თანახმად საქართველოს რევკომის 6 აპრილის № 31 ბრძანებისა.

1) საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენლებს შეუძლიათ აწარმოონ გაჩხრეკა ყოველთვის—ღამით და დღით თანახმად საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ცინცაძის და მის მოადგილის მიერ ხელმოწერილ ორდერისა საქართველოს საგანგებო კომისიის სალერბო ბეჭდის ზედასმით.

2) გაჩხრეკა სწარმოებს სახლის კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრის, ორი მოწმის და აგრეთვე იმ პირის თანდასწრებით, რომლის ბინაზედაც ხდება გაჩხრეკა.

3) გაჩხრეკას ტეხნიკურად აწარმოებს მხოლოდ ის პირი, ვის სახელზედაც არის გაცემული ორდერი, ანდა ჩხრეკა ხდება ამ პირის მინდობილობით, რაც უნდა იქნეს აღნიშნული ოქმის შედგენის დროს შენიშვნის სახით.

4) გაჩხრეკის დამთავრებისას ის პირი, ვინც აწარმოებდა გაჩხრეკას, ვალდებულია შეადგინოს ოქმი სამ ცალად, რომელშიაც უნდა იქნეს შეტანილი გაჩხრეკილი პირის განცხადება ან პრეტენზია. განცხადება უნდა ეხებოდეს იმ უკანონობას, რომელიც შესაძლებელია ჩადენილ იქნეს გაჩხრეკის დროს და გამოიხატოს ნივთების დაკარგვაში, უხეშ მოპყრობაში და სხვა.

5) ოქმის დასრულებისას, სამივე ცალს უნდა მოაწერონ ხელი იმ პირებმა, რომლებიც გაჩხრეკას დაესწრნენ ოფიციალურად, ე. ი. სახლის კომიტეტის წარმომადგენლებმა, ორმა შემთხვევით დამსწრე პირმა, იმ პირმა, ვინც გაჩხრეკილ იქმნა და საქართველოს საგანგებო კომისიის ან ორგანოს წარმომადგენელმა, რომლის მიერ იქნა გაცემული ორდერი.

ამასთანავე ოქმის პირველი ცალი მიაქვს საგანგებო კომისიის წარმომადგენელს, მერე იმ პირს, რომელიც იქნა გაჩხრეკილი, ხოლო მესამე სახლის კომიტეტის წარმომადგენელს, რის შესახებაც უკანასკნელნი აწერენ ხელს ოქმის პირველ ცალს.

6) ყველაფერი, რაც კი გაჩხრეკის დროს იქნება აღმოჩენილი, როგორც მაგალითად: პროდუქტები, საქონელი და სხვა, რაც აღემატება დადგენილ ნორმას, თანახმად არსებულ კანონების, საქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე რჩება დაბეჭდილი იმ ადგილზე, სადაც აღმოჩენილ იქნა, სახლის კომიტეტის წარმომადგენლების პირად პასუხისმგებლობის ქვეშ.

7) ბეჭდის ახსნა ანდა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაბეჭდილ ნივთებისა და საქონლის გადაცემა, ან ამოღება თანახმად მე-6 მუხლისა შეუძლია მხოლოდ საგანგებო კომისიის წარმომადგენელს, თუ მას ამისათვის საგანგებო რწმუნებულება აქვს.

8) იმ პირის პრეტენზიები, რომელთანაც გაჩხრეკა მოხდა ნივთის დაკარგვისას, ჩხრეკის მწარმოებლის მხრით უხეში მოპყრობა ან სხ. შესახებ, თუ თავის დროზე არ იქნა შეტანილი ოქმში თანახმად მე-4 მუხლისა, ან და თუ ორი დღის განმავლობაში არ იქნა განცხადებული იმ ორგანოში, რომლის ორდერით მოხდა გაჩხრეკა ან დატუსაღება, შემდეგში განხილული არ იქნება.

9) თხოვნები მომხდარ გაჩხრეკისა და ბეჭდის ახსნის ან სხვა შესახებ, უნდა შემოტანილ იქნეს წერილობით საქართველოს საგანგებო კომისიის კომენდანტურასთან არსებულ ცნობების მიმცემ მაგიდაში.

ყველა ის პირი, ვინც მოინდომებს მოახდინოს გაჩხრეკა დადგენილ ორდერის უქონლათ, თანახმად 1 მუხლისა, და თავის თავს საქართველოს საგანგებო კომისიის ან ხელისუფლების სხვა ორგანოს წარმომადგენლად დასახავს, დაუყონებლივ უნდა დატუსაღებულ იქნეს ახლო მდებარე სამილიციო კომისარიატების საშუალებით და უნდა წარედგინოს საქართველოს საგანგებო კომისიას დასასჯელათ რევოლიუციონური დროის კანონების სრული სიმკაცრით, უდიდესი სასჯელის გაჩენებით—დახვრეტითაც კი, როგორც მშრომელთა მტრებისა, რომელნიც არღვევენ მოქალაქის მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას და არყევენ საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის სიმტკიცეს.

**შენიშვნა:** გაჩხრეკის უფლება აქვთ: საქართველოს საგანგებო კომისიას, სისხლის სამართლის ორგანოებს, სასამართლო საგამომძიებლო დაწესებულებებს და ჯარის საგანგებო განყოფილებას—ჯარის ნაწილებში.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ქ. ცინცაძე**; საადმინისტრაციო ორგანოების სამმართველოს უფროსი **ვ. ცივცივაძე**; მდივანი **ქ. იაშვილი.**

1921 წ. აპრილის 6
თბილისი.

### ბრძანება № 21.

**გაჩხრეკა - დაპატიმრების წესის შესახებ.**

ავაზაკი პირებისა და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების მიერ თვითნებითი გაჩხრეკისა და დაპატიმრების მოსასპობად და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პირად ხელშეუხებლობის დასაცავად, გაჩხრეკისა და დაპატიმრების მოსახდენათ, როდესაც საჭირო იქნება, შემოღებულია შემდეგი წესი, რომლის დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონების სრულის სისასტიკით—დახვრეტითაც კი.

1. გაჩხრეკის უფლება აქვთ: ა) საქართველოს საგანგებო კომისიას, 2) სისხლის სამართლის ორგანოებს, 3) სასამართლო-საგამომძიებლო დაწესებულებებს და 4) ჯარის ნაწილებში არმიის საგანგებო განყოფილებებს.

2. გაჩხრეკა შეუძლიათ მოახდინონ პირველ (1) მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა ყოველ დროს სათანადო ორდერის წარდგენით; ორდერი უნდა იქნეს ხელმოწერილი იმ დაწესებულების უფროსის ან მისი მოადგილის მიერ, რომლის განკარგულებითაც უნდა მოხდეს გაჩხრეკა.

3. დაპატიმრების უფლება ორდერში ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული გაჩხრეკის შედეგის მიხედვით.

4. გაჩხრეკა შეუძლიან მხოლოდ იმ პირს, რომლის სახელზედაც არის გაცემული ორდერი; გაჩხრეკას უნდა დაესწრონ: სახლის კომიტეტის თავმჯდომარე ან ერთ-ერთი წევრი და ბინის პატრონი, რომლის სადგომშიაც უნდა მოხდეს გაჩხრეკა, ორი მოწმის თანდასწრებით.

5. გაჩხრეკის დამთავრებისას ის პირი, რომელიც აწარმოებდა ჩხრეკას, ვალდებულია შეადგინოს ოქმი სამ ცალად, სადაც უნდა აღინიშნოს ყველაფერი, რაც კი აღმოჩენილ იქნა და ჩააწეროს გაჩხრეკილ პირის ახსნა-განმარტება და განცხადებანი.

6. ოქმის სამივე ცალს ხელი უნდა მოაწერონ იმ დაწესებულების წარმომადგენელთ, რომლის განკარგულებითაც სწარმოებდა გაჩხრეკა და აგრეთვე ყველა ოფიციალურად დამსწრე პირებმა, ამასთანავე ოქმის ერთი ცალი უნდა მიეცეს სახლის კომიტეტის წარმომადგენელს და ერთიც გაჩხრეკილ პირს.

7. ყოველივე ის, რაც აღმოჩნდება გაჩრეკის დროს, უნდა დატოვებულ იქნეს ხელშეუხებლად. ბინა უნდა დაიბეჭდოს და გადაეცეს დასაცავად სახლის კომიტეტის წარმომადგენელს ამ უკანასკნელის პირადი პასუხისმგებლობით იმ საქმის დამთავრებამდე, რომლის გამო სწარმოებდა ჩხრეკა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ა. ნაზარეთიანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 5.
თბილისი—სასახლე.

1. საქართველოს ყველა იმ ქალაქებში, სადაც ადგილი აქვს სურსათის მწვავე კრიზისს, შემოღებულ იქნას საბარათო სისტემა პურისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების თანასწორ და სამართლიან გასანაწილებლად.

2. ჯერ-ჯერობით პურის ბარათები შემოღებულ იქმნას ქ. თბილისში.

3. რათა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მწყობრად და ერთ გეგმაზე გატარებულ იქმნეს საბარათო სისტემა, სახალხო სასურსათო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური საბარათო ქვე-განყოფილება, რომელიც ამზადებს ბარათებს, ინსტრუქციებს და ყველა საჭირო ბლანკებს რესპუბლიკის ქალაქებისათვის.

სახალხო სასურსათო კომისარის მაგიერ, განმანაწილებელ განყოფილების გამგე, ცენტრალურ საბარათო სისტემის ქვე-განყოფილების გამგე **ა. რუხაძე.**

## სია მენშევიკების მიერ გატაცებულ ძვირფას ნივთებისა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, თანახმად დატოვებულ დოკუმენტებისა, შემდგარია სია იმ საბანკო განძეულობისა, რომელიც მენშევიკებმა წაიღეს და რომელიც შეადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებას.

ჩვენ ქვემოდ ვაქვეყნებთ ამ გამოანგარიშების შედეგებს და თან დავძენთ, რომ სიაში აღნიშნულ განძეულობათა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გატაცებულზე.

სიაში მოყვანილია მხოლოთ საბანკო განძეულობა. მენშევიკებმა კი თან წაიღეს ძლიერ ბევრი ნაციონალური სხვა ქონებაც. იმათ წაიღეს თითქმის ყველაფერი რაც კი ხელთ მოხვდათ, არ დაინდეს არც პროფეს. კავშირთა კასები და არც კოოპერატივები... გამოირკვა, მაგალითად, რომ იმათ თბილისის ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებიდან უკადრიად წაღება ორი მიკროსკოპისა.

1) 17 ტომარა ოქრო 13 ფუთი 18 გირ. 26 მისხ. 83 დანგი.
2) ვერცხლი 41 ტომარა 52 ფ. 21 გ. 4 მისხ. 81 დ.
3) ვერცხლის ფული 433 ტომარა 421.166 მან. 60 კაპ.
4) სპარსული ფული 17 ტომარა, დაახლოვებით 3000 თუმანები.
5) ოქროსა და ვერცხლის სხვა და სხვა ნივთები 1 ყუთი.
6) ფირუზი 1.
7) მარგალიტი 318 ცალი.
8) ბრილიანტი 388 ცალი.
9) წითელი ფირუზი 166 ცალი.
10) ფირუზი მწვანე 207 ცალი.
11) რუსული ოქროს ფული 3778 მ.
12) ოქროს საათი 4 ცალი.
13) ოქროს ძეწკვი 1 ცალი.
14) ოქროს სამკაული 1 გ. 52 მისხ. 65 დ.
15) სხვა და სხვა ვერცხლი 4 გ. 52 მისხ.
16) ოქროს ბეჭედი 9 ცალი.
17) სამაჯური 2 ცალი.
18) სათუთუნე ფრაქესი 1 ცალი.
19) ოსმალური ოქროს ლირები 163 ცალი.
20) გერმანული ოქროს მარკა 40 ცალი.
21) ინგლისური ოქროს ფუნტ(ი) სტერლინგი 44 ცალი.
22) სპარსული ვერცხლის კრანი 283 ცალი.
23) ოსმალური ვერცხლის მეჯიდი 11 ცალი.
24) ამერიკული ოქროს დოლარი 3303 და ნახევარი ცალი.
25) ვერცხლისა 49/10 ცალი.
26) გერმანული ვერცხლის პფენინგი 10 ცალი.
27) ბელგიური ოქროს ფრანკი 20 ცალი.
28) ოქროს „სლიტკი" 3 ცალი.
29) ოსმალური და სპარსული ოქროს ფული 22 ცალი.
30) ფრანგული ოქროს ფრანკები 100 ცალი.
31) ჩეკები 5500 მ.
32) ქაღალდის საზღვარგარეთული ფულები 5000 მანეთამდის.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის მე-30 ნომერში მოთავსებულ საქ[illegible] მე[illegible]მში, შეგვეპარა შეცდომა, რამაც დაამახინჯა მის [illegible] უნდა იყოს ასეთი: გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების იარაღის სოლიდარობას ბურჟუა—მემამულეთა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## ქრონიკა

**ლექცია - კონცერტი.** შაბათს, 9 აპრილს, ქართველ მწერალთა კავშირი ჰმართავს მეორე ქართულ კლუბში (დღეს—სახალხო აუდიტორია), პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპ. № 129 ლექცია-კონცერტს. ილია ნაკაშიძე წარმოსთქვამს ქართულ ენაზე ლექციას „მომავალი ხელოვნება". ლექციის შემდეგ—კონცერტი, სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მონაწილეობით. დასაწყისი 7 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კლუბის სალაროში.

**სახელმწიფო დრამის თეატრში** დღეს, აპრილის 9-ს პირველად სეზონში „ღალატი" მთელი დასის მონაწილეობით. რეჟისორობს ალ. წუწუნავა.

კვირას, აპრილს 10-ს მესამედ „დამნაშავენი".

**მწარმოებლის დაპატიმრების უფლება.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ იქონია მსჯელობა იმ მწარმოებელთა დაპატიმრების შესახებ, ვისაც არა სურს თავის მუშების და მოსამსახურეების დაკმაყოფილება, და დაადგინა, მისცეს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ მწარმოებელთა დაპატიმრებისა, ვინც არ აკმაყოფილებს მუშებსა და მოსამსახურეებს, შრომის სახალხო კომისარიატის საკონფლიკტო განყოფილების გამგეს.

**კოტე შათირიშვილის გარდაცვალება.** სახელმწიფო დრამის თეატრის დირექცია, რეჟისურა და მსახიობნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ მსახიობისა და სახალხო სახლის რეჟისორის კოტე შათირიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, აპრილის 9 ს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას 10 აპრილს 12 საათზე ვერის სასაფლაოზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ.

**სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ქალაქის განყოფილება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო-კომისარიატიდან გამოყვეს ქალაქის განყოფილება. ქალაქის განყოფილების გამგეობა მიენდო სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ათაბეგოვ-თუმანს. კოლეგიის წევრებათ დაინიშნენ სლუცკი და ჩიკნავეროვი. კოლეგიას მიემატება კიდევ პროფკავშირების ცენტრის წარმომადგენელი. ქალაქის განყოფილება დაექვემდებარება ქალაქის რევკომს. ქალაქის განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას განყოფილებანი თბილისის მუშათა უბნებში—ავლაბარსა, ნაძალადევსა და სხვა ადგილებში. ეს განყოფილებანი მიიღებენ თხოვნებს და მოახდენენ საქმიო ექსპერტიზას და აგრეთვე გამოარკვევენ მთხოვნელთა მატერიალურ მდგომარეობას.

## პროფესიონალურ-კავშირებში

**პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულ პლენუმის სხდომა.**

კვირას, 3 აპრილს, კინოთეატრ „მინიონის" დარბაზში შესდგა თფილისის პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა, სადაც წევრებს გარდა წარმოდგენილი იყვნენ ყველა ქარხნის და ფაბრიკების გამგე-მმართველებიც.

დარბაზი გაჭედილი იყო.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) პროფკავშირების ორგანიზაციული მუშაობა და მისი ამოცანა, 2) პასუხი მენშევიკების „მოთხოვნილებაზე", 3) შრომის კომისარიატის მუშაობა და პროფკავშირები, 4) სასურსათო კომისარიატის მუშაობა და სურსათის საქმე, 5) სახალხო სამეურნეო კომისარიატი და პროფკავშირების მიზნები.

სხდომა გახსნა ამხ. გ. [illegible]შვილმა. [illegible] პირველით,—სანამ [illegible] შეუდგებოდა [illegible], რომ [illegible] კონტრ-რევოლიუცია [illegible] რომ [illegible] განთავისუფლებულ

იქმნა სომხის მშრომელი ხალხი ანტანტის აგენტ ვრაციანებისაგან.

შემდეგ ის შეუდგა მოხსენების გაკეთებას პირველ კითხვაზე. მან განმარტა ის სახელმძღვანელო კომ. პრინციპი, რომელზედაც უნდა შენდებოდეს პროფკავშირები დღევანდელ მომენტში.—„კავშირები,—სთქვა მან,—უნდა იქმნას აგებული წარმოების ნიადაგზე. ამ დებულებას თითქო მენშევიკებიც იზიარებდენ, მაგრამ ეს ხომ ცარიელი სიტყვა იყო, რომელსაც ისინი დაჩვეულები იყვნენ ხოლმე... ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთში არეული სხვადასხვა დარგის მუშები; მაგრამ ამ გამიჯვნის დროს ისე ფრთხილათ კი უნდა მოვიქცეთ, რომ კვლავ უკან დაბრუნება არ მოუწიოს ამა თუ იმ კავშირებიდან გამორიცხულ სხვადასხვა ნაწილებს".

შემდეგ ამხ. გიორგი ეხება პროფკავშირების საჭიროებას პროვინციებშიაც და ამბობს: ჩვენი ხელის შეწყობით ჩქარა უნდა მოეწყოს ეს კავშირები პროვინციებშიც, თორემ მარტო ერთი თფილისი ვერ გააკეთებს იმ კომუნისტურ ამღზრდელობით საქმეებს, ვერ გახდება ახალი რეჟიმის ბაზათ, რისთვისაც საერთოდ ეს კავშირებია მოწოდებული საბჭოთა წესწყობილების დროს.

მოხსენების დასასრულ იყო რამდენიმე შეკითხვები, რომლებიც დაწვრილებით გააშუქა ამხ. გიორგიმ.

შემდეგ გამოდის ამხ. ვირაპი და მოკლეთ აცნობს კრებას მეორე კითხვას,—მენშევიკების „მოთხოვნილება"-ს. მენშევიკები,—სთქვა მან,—რომლებიც თავიანთ ბატონობის დროს წევრები იყვნენ კავშირთა საბჭოსი, ხელმძღვანელათ ითვლებოდენ უკანასკნელის, ხოლო შემდეგ, გაიქცენ და ეხლა კი ისევ დაგვიბრუნდენ,—თხოულობენ თავიანთ ადგილს, რაც ჩვენის აზრით, ნიშნავს მომკვდარ მენშევიკური ძველი „საბჭოების" აღდგენას და სხვა.

აქ პატარა ხანს გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საგანზე.

ცოცხალ გვამათ ქცეულ მენშევიკების ამ უტიფრულმა „მოთხოვნილებამ" სხდომის ყველა წევრებში გამოიწვია აღშფოთება.

...ამის საპასუხოთ წარმოდგენილი ამხ. ვირაპის რეზოლიუცია არ აკმაყოფილებს ზოგიერთ ამხანაგებს, მათ შორის არც ამხ. ნიკო კიკნაძეს, რომელიც ითხოვს სიტყვის ნებას თავმჯდომარისაგან და აღშფოთებული იგონებს იმათ წარსულ საძირო საქმეებს, განა ჩვენ არ გვახსოვს—ამბობს ამხ. ნიკო,—ამ კავშირთა საბჭოს ხელმძღვანელ ბატონ ხელაძე—ლაცაბიძე,—პაიჭაძეების მოქმედება?! თუ როგორ ურცხვათ, დაუნდობლათ იდევნებოდენ კავშირებიდან ჩვენი საუკეთესო ამხანაგები და იგზავნებოდენ ციხის ბნელ ცივ საკნებში მათი „ლოცვა-კურთხევით?! განა ჩვენ დაგვავიწყდა მათ მიერ გარეკილი ყრილობა რკინის გზელებისა, ასევე გარეკილი კავშირები ძელითოხეებისა, ძეტყავეებისა?!

ამხ. ნიკოს შემოაქვს შემდეგი დამატებითი შესწორება:

„მიეცეს მათ წინადადება, ჩაეწერონ საერთო წესით შრომის ბირჟაში და ასე ეძიონ სამუშაო, რომ უადგილოთ არ დარჩნენ,—აი ეს იქნება პირდაპირი, მოკლე და მკაფიო პასუხი.

ეს დამატებითი შესწორება მოწონებული იქმნა საერთო მქუხარე აპლოდისმენტში.

რეზოლიუცია, მენშევიკების მოთხოვნილების" წინააღმდეგ მიმართული ერთხმად იქმნა მიღებული. (რეზოლიუციები ცალკე დაიბეჭდება)

შემდეგ მოხსენებას აკეთებს შრომის კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. არ. მიქაძე დასმულ მესამე კითხვაზე,—შრომის კომისარიატი და პროფკავშირები. მან გააცნო მოკლეთ კრებას,—თუ რა გაკეთდა, და კიდევ რის გაკეთებას ცდილობს მუშებისათვის შრომის კომისარიატი.

მოხსენების დასასრულ ამხ. მიქაძემ წარმოუდგინა კრებას თეზისი,—მომავალ მუშაობის აღსანიშნელი წესი შრომის კომისარიატის მიერ.

წაკითხვა-გარჩევის შემდეგ თეზისი ერთხმათ იქმნა მიღებული.

რადგან უკვე გვიან იყო: დანარჩენ კითხვებზე მოხსენება და მაზე მსჯელობის გამართვა გადაიდო შემდეგი დღის —ორშაბათ საღამოსთვის.

...ორშაბათი.

4 აპრილი, როგორც წინანდელი, ისე ეს კრება სრულია.

დარბაზი სავსეა დელეგატებით.

კრებას ხელმძღვანელობს ისევ ამხ. გიორგი ყურულიშვილი.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ერქომაიშვილი მეოთხე კითხვაზე,—სასურსათო კომისარიატი და სურსათის საქმე.

...მენშევიკების ყოფილ მთავრობას,—ამბობს იგი.—რომელიც უკან იხევდა, მიზნად დაესახა ჩვენი სასურსათო საკითხი რაც შეიძლება გაემწვავებია. ეს ცხადი გახდა იმით, რომ მათ სამტრედიას იქითაც კი, როცა უკვე ყოველივე იმედი ომის მოგებისა დაჰკარგეს,—მაინც განაგრძობდენ ნგრევას, ხიდების აფეთქებას.

აქ მან მოიყვანა მრავალი ფაქტები იმ მძიმე პირობებისა, რომელშიც სასურსათო კომისარიატს უხდებოდა მუშაობა. მოხსენებიდან კრება ხედავდა, რომ კომისარიატის ენერგიული მუშაობა ბევრი დაბრკოლებები გადაულახავს. რომ ეს ნაცადი ენერგიული მუშაობა შემდეგშიც იქნება გაგრძელებული და მით აცილებული მოსალოდნელი დაბრკოლებები.

...ჩვენი მუშაობის შედეგი,—დაასრულა მან,—ყოველ შემთხვევაში ის მაინც იყო, რომ პური 1000 მანეთად ღირებული ბაზარზე 500 მანეთი გახდა.

მოხსენების შესახებ რეზოლიუცია ამხ. ვირაპისაგან წარმოდგენილი, კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. მჟავანაძე დასმულ უკანასკნელ კითხვაზე,—სახალხო სამეურნეო კომისარიატი და პროფკავშირები.

მან გადმოუშალა კრებას მუშაობის მთელი სირთულე სამეურნეო კომისარიატისა, რომელსაც, როგორც შრომის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შრომის ნაყოფიერათ ჩამტარებელს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა რესპუბლიკაში.

შემდეგ გამოდის დამატებითი მოხსენებით ამხ. ვირაპი.

იგი განაგრძობს ამ კითხვაზე ლაპარაკს. კამათმა კრებას დაანახვა ზოგიერთი შეუსაბამო ტეხნიკური მხარეები ამ კომისარიატის და კავშირთა შორის მუშაობაში.

ერთობ გვიანღა იყო.

კრების განკარგულებაში მყოფი მოკლე დრო არ იძლეოდა საშუალებას წამოყენებულ კითხვის დამშვიდებით, დეტალურად გარჩევისათვის და ამიტომ კრება გადაიდო მომავალ ორშაბათისთვის.

ხევარტი.

---

**ნემსით მომუშავეთა კავშირში.**

კვირას, 4 აპრილს, „მინიონში" შესდგა ნემსით მომუშავეთა კავშირის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 1500 მეტი წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვა მომენტზე და პროფკავშირების მიზნები, და ახალი გამგეობის არჩევის შესახებ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ ნუცუბიძისა „მიმდინარე მომენტზე და პროფკავშირთა მიზნებზე" ქართულსა და რუსულ ენაზე, ცნობს, რომ იმპერიალისტურმა ომმა მიიყვანა კაცობრიობა სრულ გაღატაკებამდე. ანტანტამ მიიყვანა დაპყრობილი ქვეყნები სრულ გადაგვარებამდე. იგი კვლავ ამზადებს ახალ პირობებს იმპერიალისტურ ომის საწარმოებლად, უფრო შემზარავს, ვიდრე 1914 წლის ომი იყო. „შეთანხმებული ქვეყნები" ჩაცვივდენ უძლეველ და გარდუვალ საწინააღმდეგო პირობებში. ბურჟუაზია ველარ პოულობს გამოსავალ გზას თავის დიქტატურის გადასარჩენად. თავის დაღწევა ამნაირ ქაოტურ მდგომარეობიდან, რომელმაც მოიცო მთელი კაცობრიობა, შეიძლება, მხოლოდ შეკავშირებით რუსეთის პროლეტარიატთან და რევოლიუციონურ ბრძოლით ანტანტის წინააღმდეგ.

მენშევიკების მიერ სამი წლის განმავლობაში მუშათა კლასის ჯალათებთან, ანტანტის ბურჟუაზიასთან შეთანხმებლათ წარმოებულ პოლიტიკამ საბოლოოდ მიიყვანა ქვეყანა დაღუპვამდი. თავისუფალ საქართველოს ერთად-ერთი გზა ხსნისა დარჩენია: ბრძოლის წარმოება ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციასთან, პროლეტარიატის და გაღატაკებულ გლეხობის დიქტატურის განსამტკიცებლად. ამიტომ ჩვენ, მუშები ნემსით მომუშავეთა კავშირისა, ვუძღვნით რა სალამს მუშა-გლეხთა რევოლიუციონურ მთავრობას, ვპირდებით აღმოუჩინოთ მას ყოველ მხრივი დახმარება და გამოვსთქვამთ იმედს, რომ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი საბოლოოდ შემუსრავს, ქართველ ერის გამძარცველთ—მენშევიკებს და არავითარ შეთანხმების გზას არ დაადგება მერყევ პოლიტიკურ ჯგუფების მიმართ, რომელიც დღეს ირაზმება,—არამედ დაეყრდნობა საქართველოს მუშა-გლეხებს და დაუყონებლივ შეუდგება წითელ ლაშქრის ორგანიზაციის საქმეს, რისთვისაც ჩვენ, მუშები მზადა ვართ, გავწიროთ თვით ჩვენი სიცოცხლე ისე, როგორც საჭიროა აპარატის აღსადგენათ და მუშა-გლეხთა მთავრობის გასამარჯვებლად. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

# ფოსტა

**საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს** რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

**საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში.** მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

**პროფესიონალურ კავშირებს.** მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

**სარედაქციო კოლეგია.**

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი".

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ველაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

---

# პროფ. კავ. საბ. კომუნისტური ფრაქციის სხდომა

დღეს, მუშათა სასახლეში საღამოს 5 ს., მეხუთე სართულში, შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომა. დასწრება სავალდებულოა

**ფრაქციის ბიურო.**

# თფილისის კომიტეტის მეშაბათეების ბიურო სთხოვს:

მე-11-ტე ლაშქრის პოლიტიკურ განყოფილებას, ფროფკავშირებს, საბჭოს, შრომის კომტეტს, სახალხო სამეურნეო განყოფილების საბჭოს, 1, 2, 3, და 5 რაიონების კომპარტიებს, თფილისის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, ქალთა განყოფილებას, არსენალის უფროსს, რკინის გზის ქარხნების უფროსს, ტრამვაის დეპოს უფროსს, თფილისის წყალსადენის გამგეს, გრუსტას და ადგილობრივ სასამართლოს კომიტეტებს გამოგზავნოთ პასუხისმგებელი ამხანაგები სხდომაზედ, რომელიც შესდგება შაბათს, 9 აპრილს ამა წელს საღამოს 5 საათ. კომუნალურ მეურნეობის შენობაში (ყოფილ ქალაქის მართველობაში). მდივნის დარბაზში სამუშაოთ შაბათობის შესახებ დასწრება წარმომადგენლებისა აუცილებელია.

8 აპრ. 1921 წ.,
ქ. თფილისი.

თ. კ. მდივანი ი. მელაძე.

---

# ცირკულიარულათ.

## საქარ. კომ. ახალგ. კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენ. კომიტეტის დადგენილებით 15 აპრილს ქ. თბილისში მოწვეულია ცენ. კომიტეტის პლენუმის და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) მიმდინარე მომენტი.
2) კავშირის მიზნები საბჭ. რესპუბლიკაში.
3) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობის მორიგი მიზნები.
5) პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა.
6) ეკონომიურ-უფლებრივი მუშაობა.
7) სამხედრო-სავარჯიშო მუშაობა.
8) ორგანიზაციული კითხვა.
9) მიმდინარე კითხვები.

კრებაზე გზავნის თითო წარმომადგენლებს ყველა საოლქო, სამაზრო და ქალაქის კომიტეტები. საჭიროა ამხანაგებმა არ დაიგვიანონ და დროზე მოვიდენ, რომ არ შეაფერხონ კავშირის მუშაობა.

**ცენტრ. კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამახი.**

# პროფ. კავშ.რთა საბჭოს პლენუმის სხდომა

ორშაბათს, 11 აპრილს საღამოს 5 ს. კინო თეატრ „მინიონის" შენობაში დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა, საბჭოს და პროფესიონალურ კავშირების გამგეობის წევრთა მონაწილეობით. რადგანაც კრებაზე გასარჩევია მეტად საყურადღებო კითხვები, დასწრება როგორც საბჭოს ისე გამგეობის წევრთა სავალდებულოა.

**დღის წესრიგი:**

1) სახალხო სამეურნეო საბჭო.
2) მიმდინარე კითხვები.
3) კავშირთა ნორმალური წესდება.

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.**

# ზუგ. ბიბლიოთეკის ხელის მომწერთა საყურადღებოთ

თანახმად განათლების სამინისტროს საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსის განკარგულებისა, ზუგ. სახ. ბიბლ. გამგე სთხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც განსაზღვრულ დროში არ დაუბრუნებიათ წიგნები, დააბრუნონ სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელის მომწერნი გადაეცემიან გასასამართლებლად სათანადო სამსჯავროს, თანახმად რევ. დროის წესისა.

**ბიბლ. გამგე ი. დარახველიძე.**

# კვირას, აპრილის 10, დღის 10 საათზე,

კინემატოგრაფ „მინიონის" შენობაში, მუშათა სასახლეში (შესავალი ბარიატინსკის ქუჩიდან) დანიშნულია ქ. თბილისის საბჭოთა დაწესებულებების (ყოფილ სახელმწიფო) დაბალ მოსამსახურეთა დელეგატების კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო და გადაუდებელი საქმეები. დასწრება ყველა დელეგატებისთვის სავალდებულოა და აუცილებელი, დელეგატებმა თან უნდა იქონიონ სათანადო მანდატები.

**კავშირის გამგეობა.**

# ქ. თბილისის ვეტერინარ-მუშაკთა გამგეობა

პროფესიონალურ კავშირისა იწვევს ყველა წევრთ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 10 ამა აპრილს, დილის 12 საათზე ცენტრალ ვეტერინალურ განყოფილების ბინაზე, კობის ქ., სახლი № 9.

**განსახილველი კითხვები:**

1) ვეტერინარ-მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის საბოლოო კონსტრუქცია. მომხსენებელი თავმჯდომარე მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირისა ამხანაგი ჯულელი.
2) ანგარიში კავშირის გამგეობისა.
3) მიმდინარე საკითხები.

# სააქციონერო საზოგადოება „ფუტკარი და სკა"

კვირას, 10 აპრილს, დილის 10 საათზე, დანიშნულია საერთო კრება, ყოფ. ვოლგა-კამის ბანკში, შესვლა კოლუბანის ქუჩიდან. შესვლის დროს უნდა იქნეს წარმოდგენილი მოწმობა.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

# შაბათს, 9 აპრილს, 4 საათზე

ყოფილ სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (პლეხანოვის ქუჩა, № 123) დანიშნულია საზოგადო კრება სულყველა კომუნისტ-ქალებისა. გამოცხადება სულყველასთვის სავალდებულოა.

**დღიური წესრიგი:**

1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2) მოხსენება ქალთა შორის მუშაობაზე.
3) მოხსენება თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებისა.

# ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტ კომუნისტების

და თანამგრძნობთა საყურადღებოთ შაბათს, 9 აპრილს, საღ. 4 საათზე, სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია სტუდენტ-კომუნისტების და თანამგრძნობთა

# საერთო კრება.

გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხები.

**ქარ. უნივ. სტ. კომ. დრ. ბიურო.**

# გამოცდილი მთარგმნელები

რუსულიდან ქართულზე საჭიროა ს. კ. პ. ც. კომიტეტის ლიტერატურულ გამომცემელ კომისიისათვის. წერილობით მისამართი გაზ. „კომუნისტის" რედაქცია, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4, პირადათ ნაშუადღევის $1^1/_2$—2 საათამდე.

**ლიტ.-გამომც. კომისია.**

# ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ-"ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

# გაზ. „კომუნისტი"-ს

# მიღება შეიძლება პრესის ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. №11.)